პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ნოემბერი, კვირა, 1989 წ.
№ 221 (10 140) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**გუშინ თბილისში, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ XI მოწვევის უზენაესი საბჭოს XII სესიამ.**

## ვერაგი ანტარქტიდა

**რა** არ შეიძლება მოხდეს იალქნიანი ნავებით მსოფლიოს გარშემო რბოლის დროს, მით უმეტეს ანტარქტიდის ყინულოვან წყლებში. და მოხდა კიდეც სენსაცია: ფინეთის ერთანძიანმა ნავმა „მარტელამ“ 52-ე სიგანედზე მოულოდნელად „დაიჭირა“ ქარის მიმართულება და მაქსიმალური სისწრაფე — დღეღამეში 280 მილი განავითარა. სულ მალე რბოლის შტაბბინაში დაუჯერებელი ცნობა მოვიდა: ფინეთის ერთანძიანმა ნავმა ხელთ იგდო ლიდერობა და უკან ჩამოიტოვა მანამდე დაწინაურებული ახალზელანდიელთა ორანძიანი „ფიშერი და პეიკელი“, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ 198 მილს გადიოდა.

მაგრამ „მარტელას“ „ტკბილ ცხოვრებას“ მალე ბოლო მოეღო. მან ისევე უდვილად „დაკარგა“ ქარის მიმართულება, როგორც დაიჭირა და ანტარქტიდის ყინულოვან მთებში მოემწყვდია (მოემწყვდიას, ასეთ დროს, სიჩქარის დაკარგვის მნიშვნელობით ხმარობენ). ლიდერობა კვლავ ახალზელანდიელთა ნავმა დაიბრუნა, რომელიც „მარტელას“ ჩრდილოეთით მიაპობს წყალს.

17 ნოემბრისთვის საბჭოთა ნავი „ფაზისი“ მეცხრე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ლიდერს სულ რაღაც 98 მილით ჩამორჩებოდა. როგორც ხედავთ, რბოლის მონაწილენი მეორე ეტაპის ფინიშს კომპლექტურ ჯგუფად უახლოვდებიან და გამარჯვებულს, როგორც ჩანს, ბოლო კილომეტრები გამოავლენს, სხვაობა კი ნავებს შორის შესაძლოა საათებითა და წუთებით განისაზღვროს.

## რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წინა დღე

**რუსეთის** ფედერაციის ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართება მოსკოვში მიმდინარე წლის 1-2 დეკემბერს. ყრილობა განიხილავს კომიტეტის წესდების პროექტს, აგრეთვე მოეწყობა ხელმძღვანელი ორგანოებისა და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური ანსამბლეის დელეგატთა არჩევნები. მოხსენებას დამფუძნებელ ყრილობაზე სრულიად რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის მიზნებისა და ამოცანების შესახებ წაიკითხავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის წევრი, რუსეთის ფედერაციის სპორტსახკომის თავმჯდომარე ვ. სმირნოვი.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს მიმდინარე საკითხები. იქვე გადაწყდა, რომ დამფუძნებელ ყრილობაზე მიიწვიონ სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

## სოკ-ი მოუწოდებს

**ვარშავა.** „ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო და ოპტიმიზმით შევყურებთ მომავალს. ამ ეტაპზე ოლიმპიური მოძრაობა მტკიცედ არის შეკავშირებული, მისი განვითარების გარანტიას კი მსოფლიოს ყველა ქვეყნის თანამშრომლობის სურვილი გვაძლევს“. ეს სიტყვები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა წარმოთქვა პოლონეთის დედაქალაქში გამართულ სოციალისტური ქვეყნების სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირზე.

ამ თავყრილობაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის, გდრ-ის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებმა.

სამარანჩმა ხაზი გაუსვა, რომ სოკ-ისა და ვარშავის შეხვედრის მონაწილეთა თანამშრომლობას პოზიტიური პირი უჩანს. იგი დარწმუნებულია, რომ ორივე მხარე გარკვეულ წვლილს შეიტანს ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში.

სოკ-მა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა დოპინგს და ამ ბრძოლას იგი ბოლომდე მიიყვანს. ამავე დროს აღინიშნა, რომ მავნე ჩვევის დანერგვაში პირველ ყოვლისა პასუხი უნდა აგონ სპორტის მოღვაწეებმა, მწვრთნელებმა და მედიკოსებმა.

სპორტის დაფინანსების პრობლემებზე პრეზიდენტმა განაცხადა: „ქვეყნების ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ, რომ ხალხის ჯანმრთელობისა და სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა მათი პირდაპირი მოვალეობაა. სპორტული ორგანიზაციების მუშაობის საფუძველს სახელმწიფოს დოტაციები უნდა წარმოადგენდეს. ოლიმპიური მოძრაობა დაინტერესებულია მასობრივი სპორტის განვითარებით. სწორედ მასობრივი სპორტის დახმარებით შეიძლება მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონთა აღზრდა. ამიტომ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს მეგობრულ რჩევას ვაძლევთ: მთელი საქმიანობა, ამ მიმართულებით წარმართონ.

## „გულწრფელად მივესალმებით!“

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტი მიესალმა იმას, რომ გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ აღიარა ზოგიერთი მისი სპორტსმენის მიერ დოპინგის მიღების ფაქტები. ამასთან სოკ-ის წარმომადგენელმა მიშელ ვერდიემ განაცხადა, რომ ვერ ენდობა გავრცელებულ ხმებს, თითქოს ეს სპორტსმენები აკრძალულ პრეპარატებს ამის შემდეგაც იღებენ.

— შეშფოთებული ვართ, თქვა ვერდიემ, დოპინგის გავრცელების სწრაფი ტემპებით, ამიტომ გულწრფელად მივესალმებით ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის ყოველ კონკრეტულ შემთხვევას.

— ვინ უნდა განსაზღვროს სასჯელის ზომა, ჰკითხეს ვერდიეს, თუ სპორტსმენი დოპინგის მიღებაში მხილებულ იქნება, ვთქვათ ოლიმპიურ თამაშებზე?

— ეს მთლიანად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის საქმეა. ჩვენ კი მათ ყოველმხრივ მხარს დავუჭერთ და წავახალისებთ.

## ...პლუს რვა მედალი

**საქართველოს** „შრომითი რეზერვების“ ჭაბუკ (1972-1973 წლებში დაბადებულნი) ძიუდოისტთა გუნდმა გაიმარჯვა ქალაქ იზიუმში გამართულ საკავშირო ტურნირში, რომელშიც 23 გუნდის 320 მოჭიდავე მონაწილეობდა.

გარდა ამ წარმატებისა, ჩვენმა ჭაბუკებმა სამი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილი მოიპოვეს პირად პირველობაში. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ გოგიტა მენთეშაშვილი (53 კგ), ზაზა საცერაძე (62) და კახა ბერუაშვილი (75). ვერცხლის მედალოსნები — გიორგი კაჟაშვილი (53) და ალექსანდრე ახალკაცი (75), ხოლო იოსებ ნადირაშვილი (57), რამაზ რუსიშვილი (62) და გიორგი ხუტილაშვილი (+90) მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ.

**გუშინ** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მიერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდების პირველად მოპოვებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

მასალას ამ ღონისძიების შესახებ შემოგთავაზებთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში.

## საბჭოთა წყვილი ფინალში

**ნიუ-იორკი.** „ვირჯინია სლიმზის“ დასკვნითი ტურნირის ნახევარფინალში, როგორც ვიუწყებოდით, გავიდნენ მსოფლიოს წამყვანის ჩოგბურთელები მარტინა ნავრატილოვა (აშშ) და გაბრიელა საბატინი (არგენტინა). მოგვიანებით მათ შეუერთდა დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი (დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა სუკოვა 6:2, 6:1) და ესპანელი არანტა სანჩესი (მოუგო ბულგარელ მანუელა მალეევას 7:5, 7:6).

ნატალია ზვერევასა და ლარისა სავჩენკოს წყვილმა ჩეხოსლოვაკიელთა დუეტთან (ჰელენა სუკოვა, იანა ნოვოტნა) გამარჯვების შემდეგ (3:6, 7:6, 6:4) ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

## მეხუთე წაგება

**ნიუ-იორკი.** სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა კიდევ ერთი, უკვე მეხუთე მატჩი წააგო აშშ-ში. ამჯერად იგი თამაშობდა ქალაქ ჩეპილ ჰილში ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდთან. მატჩის შედეგია 85:75 (32:49) ამერიკელთა სასარგებლოდ.

როგორც ხედავთ, პირველი ტაიმი საბჭოთა კალათბურთელებმა 17 ქულით მოიგეს. მეორე ნახევარში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და სტუმრებმა ნელ-ნელა „გაფლანგეს“ უპირატესობა. მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ამერიკელებმა გაათანაბრეს ანგარიში, დარჩენილი დროში კი მოიგეს შეხვედრა.

საბჭოთა ნაკრებში ყველაზე შედეგიანი იური ჟუკანენკო იყო—20 ქულა. ვალერი ტიხონენკომ და სერგეი ბაზენკომ გუნდს 13-13 ქულა შესძინეს.

## როსტომ აბაშიძის პრიზზე

**ბათუმის** ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში დამთავრდა მეორე საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის როსტომ აბაშიძის პრიზზე, რომელშიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების 200-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა.

ხუთდღიანი საინტერესო სპორტული ორთაბრძოლების შემდეგ გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ავიდნენ მურმან ჯორბენაძე (ოზურგეთი), ბაკურ ბულისკირია (სოხუმი), პეტრე იაკუბიჩი (გომელი), ჯამბულ ფუტკარაძე (ბათუმი), მალხაზ ნიშნიანიძე, გოჩა ჩიხლაძე (ორივე—ქუთაისი), გელა ლოლაძე (ბორჯომი), ლევან გაბუნია (ქუთაისი), რომან იმედაძე (ბათუმი), ნიკოლოზ კალუზა (გომელი), კახა აბულაძე (ქუთაისი), მურმან ნაჭყებია (სოხუმი), გელა ჩხაიძე (ბათუმი), გოდერძი გაგუა (ხობი).

ტურნირის პარალელურად გაიმართა ორი სამატჩო შეხვედრა აჭარისა და თურქეთის ქალაქ რიზეს ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის. გაიმარჯვეს ბათუმელმა ფალავნებმა, პირველი შერკინება დამთავრდა 7:5, ხოლო განმეორებითი — 8:4.

ამ ტურნირებს ესწრებოდა ბათუმის მკვიდრი, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი როსტომ აბაშიძე, რომელმაც სამახსოვრო საჩუქრები გადასცა გამარჯვებულებს და პრიზიორებს. ნორჩ ფალავნებს წარმატება უსურვა სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნ. რუსაკმა.

ტურნირი ჩინებულად იყო ორგანიზებული. იგი დიდხანს დაამახსოვრდებათ მის მონაწილეებსა და სტუმრებს.

**ოთარ მურვანიძე.**

## დასამახსოვრებელი დებიუტი

**ყოველი** დებიუტი დიდხანს გვამახსოვრდება, მაგრამ თუ მას გამარჯვება მოჰყვა, აღარასდროს გვავიწყდება... ბელგოროდის ოლქის უძველესი ქალაქი სტარი ოსკოლი ერთი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირს ადგილობრივ გაზეთ „ბოლშაია რუდას“ პრიზზე. 8 გუნდი ჩაება ამ საინტერესო შეჯიბრებაში. მათ შორის იყო თბილისელთა ორი გუნდი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ახლახან დაარსებული ფეხბურთის სკოლის (დირექტორი ანზორ ჯინჭარაძე) ნორჩი ფეხბურთელები, რომელთაც ავარჯიშებენ მწვრთნელები ავთანდილ კიკალიშვილი და ვალერი ხაჩატურიანი. მათმა აღსაზრდელებმა ისახელეს თავი ამ პრესტიჟულ ასპარეზობაში.

ჩვენმა ჭაბუკებმა საუკეთესოდ ჩაატარეს საკავშირო დებიუტი — პირველმა გუნდმა შვიდივე შეხვედრა მოიგო (საერთო ანგარიშით 22:9) და დამსახურებული პირველობა მოიპოვა. საქართველოს მეორე გუნდმა მეოთხე შედეგი აჩვენა — მხოლოდ გოლების რამდენადმე უარესი სხვაობით ჩამორჩა მესამე პრიზიორს (მეორე ადგილზე სტარიოსკოლელები გავიდნენ) კიეველ ფეხბურთელებს.

სურათზე: ტურნირის გამარჯვებული „შევარდენის“ გუნდი.



ტურნირზე დაწესებული იყო ტრადიციული პრიზები. მათგან უმრავლესობა ქართველმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს: ტურნირის საუკეთესო მოთამაშე და მთავარი ბომბარდირი (16 ბურთით) გახდა დავით ჩალაძე, ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ აღიარეს ოთარ ხაჩიროვი, საუკეთესო ნახევარმცველად — გიორგი ედიშერაშვილი, საუკეთესო მეკარედ — ალექსანდრე ბაბაშვილი.

**შოთა ხანიაშვილი.**

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# მობრძანდით, გელით!

## იქმნება სიარულისა და რბენის მოყვარულთა ასოციაცია

**საქართველოში** გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის მოყვარულთა კლუბების საქმიანობა, ისე როგორც ბევრი სხვა რამ ჩვენს ფიზკულტურულ ცხოვრებაში, ძალზე ხელმოშვებულია და სავალალო მდგომარეობაშია.

რამდენიმე ენთუზიასტის მონდომებითა და გარჯით შექმნილმა ერთი-ორმა კლუბმა ან არსებობა შეწყვიტა, ანდა დაშლის პირასაა მისული.

თავის დროზე ამ კლუბების შექმნით მათმა შეფმა სპორტსაზოგადოებებმა ვალი მოუხადეს ცენტრალიზებული წესით მოსულ ბრძანებას და ამით ამოწურეს თავიანთი ვალდებულება რესპუბლიკის მოსახლეობის წინაშე.

სპორტსაზოგადოებებს გეზი აღებული ჰქონდათ მაღალი კლასის თანრიგოსანი სპორტსმენების მომზადებაზე და მოყვარული ფიზკულტურელები, უბრალოდ, აღარავის ახსოვდა. მთელი ფიზკულტურული მოძრაობა ერთი მუჭა ენთუზიასტი-მოყვარულებისა და მარტოხელა „ფანატიკოსთა" ამარად დარჩა.

ამრიგად, ორგანიზაციები, რომელთაც ხალხის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა ორგანიზება და წარმართვა ევალებოდა, სხვა საქმეებით აღმოჩნდნენ დაკავებულნი, ფიქცია აღმოჩნდა მშდ-ის ნორმატივებს უკან „დამალული" ფიზკულტურელთა მრავალმილიონიანი არმიაც.

ყველაფერ ამაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა, როგორც ჩვენს, ისე საკავშირო პრესაში, მიღებულია მთელი რიგი დადგენილებები, რომელთა მიზანია, ერთმანეთისაგან გაჰყონ და მოაწესრიგონ „დიდი სპორტი" და ფიზკულტურული მოძრაობა...

ცნობილია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფიზიკურ ფაქტორს ამტანობა წარმოადგენს.

ამტანობა გამომუშავდება ციკლური, ანუ უწყვეტი ვარჯიშით. ასეთებია: სიარული, ძუნძული, რბენა, ველოსიპედით სიარული, ცურვა.

ამრიგად, ადამიანმა ამტანობა და ამით ჯანმრთელობა რომ გაიუმჯობესოს, საჭიროა სპორტის ერთ-ერთ ზემოთ დასახელებულ სახეობაში დაიწყოს ვარჯიში.



დღეს საუბარი გვექნება გამაჯანსაღებელ სიარულსა, ძუნძულსა და რბენაზე.

სპორტის ამ სახეობებმა, როგორც ძალზე იაფმა, ხელმისაწვდომმა, უაღრესად ეფექტურმა და, რაც მთავარია, ძალზე ბუნებრივმა, უკანასკნელი 25-30 წლის განმავლობაში ძალზე დიდი გაქანება მიიღო მსოფლიოში. მაგალითად, აშშ-ში 35-40 მილიონ ძუნძულისა და რბენის მოყვარულს ითვლიან. შესაბამისად, ბოლო 25 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებით გარდაცვლილთა რიცხვი 3-ჯერ შემცირდა. ხალხის ჯანმრთელობისთვის განსაზღვრულ არც ერთ სახელმწიფო პროგრამას არ მიუცია აშშ-ის მთავრობისათვის ასეთი ეფექტი და მათაც სწორედ საერთო-სახალხო გამაჯანსაღებელ ფიზკულტურაზე გადაიტანეს დიდი ყურადღება. ახლა აშშ-ში გამაჯანსაღებელი ფიზკულტურის ბუმია. ცუდ ტონად ითვლება სიგარეტის წევა, ალკოჰოლის ჭარბად მიღება, უზომო ჭამა, სიმსუქნე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თანამდებობებზე უმეტესად აწინაურებენ მხოლოდ კარგი ფიზიკური კონდიციების მქონე ადამიანებს. სახალხო თავშეყრის ადგილებში სიგარეტის მწეველთათვის შემოღებულია დიდი ჯარიმები, წამყვანმა ფირმებმა და კონცერნებმა სავალდებულო გახადეს თანამშრომელთათვის კვირაში 2-3-ჯერ აუცილებელი ფიზიკური დატვირთვა, შესანიშნავად მოწყობილი სპორტული დარბაზები, მოედნები და აუზები უფასოდ, ანდა მინიმალურ ფასად ემსახურება ჯანმრთელობის მოყვარულთა უზარმაზარ არმიას; ტარდება უამრავი მასობრივი სპორტული შეჯიბრება, გარბენი და მარათონი, რომლებიც ჯანმრთელობის დღესასწაულებად არის ქცეული.

მასობრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით ასეთივე მდგომარეობაა ინგლისში, საფრანგეთში, შვეციაში, იაპონიასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. მოგეხსენებათ, სხვადასხვა უამრავ მიზეზთა (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ, სტრუქტურულ და სხვ.) გამო ჩვენში ახალი და სასარგებლო მძიმედ იკიდებს ფეხს, თუმცა სოციოლოგთა დასკვნით ყველაფრის თავი და თავი საბჭოთა ხალხის სოციალური აპათიაა, რადგან არავინ არ გვიშლის ხელს იმაში, რომ დილით, შესვენებაზე ან საღამოთი გამოვიდეთ ახლომდებარე სტადიონზე ან სკვერში და ცოტა ჩვენს ჯანმრთელობასაც მივხედოთ, ვიაროთ, ვირბინოთ.

ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა და რაც უფრო ადრე ვირწმუნებთ ამას, უფრო ადრე გავთავისუფლდებით სხვადასხვა პრესტიჟული წამლების შოვნა-შეძენის აუცილებლობისაგან, აღარც ჩვენ შევწუხდებით და აღარც ჩვენს გარშემო მყოფთ შევაწუხებთ საკუთარ ჯანმრთელობაზე წუწუნით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ავად ყოფნა ჩვენი არასტაბილური ეკონომიკის პირობებში ძალზე ძვირადღირებულ „სიამოვნებად" რჩება.

სწორედ თავისი ავადმყოფი მუშა-მოსამსახურეების ძვირადღირებულმა სამედიცინო მომსახურებამ და მათი ავადმყოფობის გამო სამუშაოს მოცდენით მიყენებულმა ზარალმა დააწყებინა მსოფლიოს ეკონომისტებსა და სოციოლოგებს ამ ჩიხიდან გამოსასვლელი გზების ძებნა. მეცნიერებმა ამ ძალზე რთული ამოცანის გადაჭრას მოსახლეობის ფართო ფენების ფიზიკური კულტურითა და სპორტით დაინტერესებაში მიაგნეს. მათ შეიმუშავეს მოქმედების პროგრამა, შედეგებიც ძალზე კარგი მიიღეს და დღესდღეობითაც წარმატებით აგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას.

ამრიგად, თუ შევთანხმდებით, რომ ხალხის ჯანმრთელობა საერთო სახელმწიფოებრივი საქმე და ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი სიმდიდრე მისი ხალხია, მაშინ სწორედ სახელმწიფო უნდა იღებდეს თავის თავზე ამ დიდი მიზნის განხორციელებაზე ზრუნავს.

საქართველოში გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის მოყვარულთათვის არავითარი, ვიმეორებ, არავითარი მიზანდასახული მუშაობა არ მიმდინარეობს. მაგალითად, თბილისში მთელი ეს მოძრაობა ფაქტობრივად რბენის მოყვარულთა კლუბ „კუს" და ამ კლუბის აღზრდილების მიერ შექმნილი ახალი კლუბის „მგლის მუხლის" მიერ ჩატარებული ღონისძიებებით შემოიფარგლება (გაზაფხულზე კროსი „ერთგულების თასი" — ტარდება, შემოდგომაზე — „მგლის მუხლი").

განა ვის მიერ არის წამოყენებული ლოზუნგი: „მასობრიობიდან — ოლიმპიური მედლისაკენ?!", მაგრამ სად არის ეს ყბადაღებული მასობრიობა? სიმართლეს თვალებში შევხედოთ: მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენში არ არსებობს!

რამდენადაც შეძლებს, სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრა სურს გაიხადოს მიზნად გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის მოყვარულთა საქართველოს ასოციაციის შესაქმნელად ახლახან ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფს. მასში ჯერჯერობით შედიან რბენის მოყვარულთა კლუბების: „კუს" და „მგლის მუხლის" წარმომადგენლები და ინდივიდუალურად მოვარჯიშენი — მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ასოციაციის პროგრამისა და დებულების შესაქმნელად.

საინიციატივო ჯგუფი თხოვს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაცია-დაწესებულებას, რბენის მოყვარულთ, მონაწილეობა მიიღონ ასოციაციის შექმნაში.

საინიციატივო ჯგუფი იკრიბება ყოველ შაბათს 14 საათზე თბილისის იპოდრომის ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივ „ლელო-89"-ის ბაზაზე. ტელ: 39-01-76 ან 37-63-82.

მობრძანდით, გელით!

**მერაბ მაჭარაშვილი,**
**გამაჯანსაღებელ კოოპერატივ „ლელო-89"-ის რბენის მოყვარულთა საინიციატივო ჯგუფის წევრი.**



● მწვერვალისაკენ...

ალექსანდრე ხთარიძის ფოტო.

# ყუროზე...

**ყაზბეგის** რაიონში, ხდის ხეობის ერთ-ერთ მწვერვალ ყუროზე, რომელიც 4000 მეტრზე მაღალია, მრავალ ახალგაზრდას მიუღია მთამსვლური ნათლობა და შემდგომ ალპინიზმი მათი გატაცება გამხდარა.

ამას წინათ ყუროზე, სპეციალური მომზადების შემდეგ, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ავიდნენ, იქიდან კი „სსრკ ალპინისტის ნიშნოსნებად" დაბრუნდნენ.

ალპინიადაში, რომელიც საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურმა საექსკურსიო სადგურმა მოაწყო, მონაწილეობდნენ თბილისის უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, სამედიცინო, თეატრალური, საქართველოს სასოფლო სამეურნეო და გორის ეკონომიკური ინსტიტუტების წარმომადგენლები.

— ამ ალპინიადაში საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მოვიწვიეთ, მაგრამ საინტერესო ლაშქრობას უმეტესობამ თავი აარიდა, — თქვა ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო ტურისტული სადგურის დირექტორმა ჯემალ სამხარაძემ. — მწვერვალს 53 კაცმა შეუტია, მაგრამ მიზანს მხოლოდ 22 მიაღწია. ისინი, ვინც ყუროზე ვერ ავიდნენ, რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილნი იყვნენ, მაგრამ შინ მაინც კმაყოფილები დაბრუნდნენ. რატომაც არა, ბევრი მათგანი ხომ ყაზბეგის რაიონში პირველად იყო. მათ პირველად იხილეს გუდაური, ჯვრის უღელტეხილი, „ხევის პატარძალი" — მყინვარწვერი, ... ამასთან, ერთკვირიანი მეცადინეობა საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბალახიან, ნაშალ თუ თოვლიან ფერდობებზე სიარულში, დაბრკოლებათა გადალახვაში და თავად ლაშქრობა მათთვის შესანიშნავი აქტიური დასვენება იყო. სტუდენტთა კმაყოფილების გამომხატველია ისიც, რომ ასეთი ალპინიადების ტრადიციად გადაქცევის სურვილი ყველამ გამოთქვა.

### აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისადმი

# ოდურგელას ამბავი

**ხიზაბავრელი** დიდი გამოჩენილი მოჭიდავე იყო. გვერდი ვერავის დაუდებინებია მიწაზე. მოვლილი ჰქონდა საქართველოს ყოველი კუთხე. თვითონ არავის უხირდებოდა და, პირიქით, თუ ვინმე გამოიწვევდა, ვინც უნდა ყოფილიყო, უარს არ ეუბნებოდა. როგორც ფალავანთა წესია, ახსენებდა ღმერთსა, გადიწერდა პირჯვარს, ეძგერებოდა მოპირდაპირეებს, გადიყვანდა კისრულით ყირამალა, მაგრამ მერე თვითონვე წამოაყენებდა ზეზე. გადაჰკოცნიდა ძმურად და მეგობრულად გზას ულოცავდა. ისე მეგობრულად და სიმდიდრით ექცეოდა ჩისგან გალახულებს, რომ შური და მტრობა გულში არავისა რჩებოდა. და ამან უფრო აამაღლა ხალხის თვალში მისი დევ-გმირობა. ის თუმცა, ღრმა სიბერეში მოკვდა, მაგრამ ეროვნულმა ოცნებამ უბრალო ჩვეულებრივი სიკვდილი რომ არ აკმარა, ამბობენ: „ოდა-სარაია ჩამოინგრა მიწისძვრის დროს და იმან დაიტანაო"! მას შემდეგ გამოჩნდა მეორე მოჭიდავე კახელი „ოდურგელა". იმანაც დიდი სახელი მოიხვეჭა, ყველას ერეოდა, მაგრამ მის ბიჭობა-ვაჟკაცობას თანამგრძნობი არავინ ჰყოლია, თუმცა ყველას კი ეშინოდა მისი და ერიდებოდა. ხშირად ოდურგელა ძალას უკადრის ხერხსაც ატანდა და, ამას გარდა, ამბობდნენ კიდევაც, რომ ფანდს თუ შეხედა და ვერ მოერია, მოსყიდულ მომხრეებს ეტანება ხოლმეო. მაგრამ ეს კიდევ არაფერია! მისი ნაკლი მისი თავგასულობა და ზვიადობა იყო.

„აღარავის აღარად აგდებდა!.. რომელ ხატობაზედაც უნდა მისულიყო, პირველობას ჩემობდა და გარეგან გაბერილობით ეს უზარ-მაზარი გოლიათი ყველას თვალსა სჭრიდა და შიშის ზარსა სცემდა. ვინ გაუბედავდა გაჰყოლოდა საჭიდაოდ?.. მაგრამ ნათქვამია „კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო", ერთხელ, „არბოობას" ერთმა ვიღაც ციდამტკაველა ელამმა და მარლმა კაცუნამ არაფრად ჩააგდო, არა თუ სხვასავით ქუდი არ მოუხადა, ეუცხოვა ეს თავხედობა ოდურგელას და ჰკითხა: ვინ ხარ და სადაური მასხარაო?!. — მასხარაცა ხარ და ვიგინდარაცაო — უპასუხა ციდამტკაველა ბიჭმა, თუ გულს გერჩის, გამობრძანდი და მაშინ შეიტყობ, ვინცა ვარო! ა, ბურთი და მოედანიო! მეც ვანო გელიოზაშვილს მეძახიანო. ჯერ გაეცინა გოლიათს ციდამტკაველას მუქარა, მაგრამ ბოლოს კი, რომ აღარ მოუსვენა, გული მოუვიდა!...

— ე, რა ცოდვას აუტირებიაო? ახია, რომ ჭიასავით მიწაზე დავასრისო და ან ბურთივით წრეს გადავავლოო! გავიდა და უგულოდ წაეპოტიალა... მაგრამ ჰოი, საკვირველებავ! გელიოზაშვილმა, მისვლის უმალვე, ჩააჩოქა ცალმუხლზე. ფეხი აუსხლიტა ოდურგელას ველზეო — იფიქრეს მაყურებლებმა — და, როცა მშრალზე გავლენ, აქ-კი თოხლო კვერცხივით ჩაყლაპავს იმ საბრალოსაო. გავიდნენ მშრალზე, მაგრამ აქაც გაუხტა-გამოუხტა გელიოზაშვილი. ხელიც არ მოაკიდებია, გაუძვრა-გამოუძვრა ლაჯებში, გამოჰკრა სარმა და ორივე მუხლებზე დასცა. ვაჰ ვაჰ! ვაჰ! — დაიძახა გაოცებულმა ხალხმა. შეკრთა მოულოდნელად ოდურგელაც და მოიკრიბა, რაც ძალი და ღონე კი ჰქონდა, მაგრამ, ამპა, გაქაჩულია, საძრავობა აღარ აქვს! ახლა ოდურგელა მხოლოდ იმასა სცდილობს გაუმაგრდეს როგორმე, სახელის გატეხის რომ არა რცხვენოდეს, აქამდი გაექცეოდა... მოკურცხლავდა... ახლა კი მარტო იმასა სცდილობს, რომ თავი არ გაალახვინოს ამ ვიღაცა ჰინკას. ფალავნობის წესით, სანამ ზურგს არ დაადებინებს დედამიწაზე მოპირდაპირეს, ჯობნად არ ჩაითვლება! და გელიოზაშვილიც თუმცა ცხვირ-პირს აკრევინებს მიწაში, ათრევს, ახოხებს გულმუცლით, მაგრამ გადაბრუნება კი უჭირს ამ ახმახის... ბოლოს ისიც შეიძლო... გაშხლართა პირ-აღმა და სულ ვარსკვლავები ათვლევინა!.. ამბობენ, ამ მარცხიანი დღის შემდეგ ოდურგელა ჩაჯდა ჭკუაში, გარეწრობაზე ხელი აიღო და ოჯახს დაუბრუნდაო... გახსოვდეთ, რომ „კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს" და ნუ დაივიწყებთ ბუზისა და ლომის იგავ-არაკს.

• • •

გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში" 1904 წელს (5 სექტემბერი), შესულია პოეტის თხზულებათა სრულ კრებულში (ტ. XIV, თბ. 1961).

**პუბლიკაცია მოამზადა**
**სულიკო ნუცუბიძემ.**

# „ბრინჯაო" — თბილისელ მოსწავლეებს

**საბჭოთა** კავშირის სინქრონული ცურვის ოსტატთა უმრავლესობა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენელია. ამდენად, ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა სინქრონულ ცურვაში საკმაოდ წარმომადგენლობითია ხოლმე. ასე იყო ნოვოპოლოცკში გამართულ შეჯიბრებაშიც.

ასპარეზობაში სხვებთან ერთად მონაწილეობენ თბილისელი მოსწავლეები ეკა ასათიანი და ტატიანა გუტიაკულოვა.

ეკამ სავალდებულო პროგრამით ასპარეზობაში მესამე შედეგი აჩვენა, რაც მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს. შემდეგ ასათიანმა გუტიაკულოვასთან ერთად, წყვილთა გამოსვლაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ლიგა

## სტატისტიკა, სტატისტიკა...

**პირველი** ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების დამთავრების შემდეგ გთავაზობთ ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს პირველ ლიგაში მოასპარეზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შესახებ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" | 42 | 27 | 9 | 6 | 78-39 | 63 | 2 |
| „ტორპ." | 42 | 18 | 5 | 19 | 69-73 | 41 | 13 |
| „დინ." | 42 | 11 | 13 | 18 | 39-61 | 35 | 18 |

**შინ**

| თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| 21 | 21 | 0 | 0 | 54-14 | 42 |
| 21 | 14 | 4 | 3 | 49-17 | 32 |
| 21 | 9 | 8 | 4 | 28-21 | 26 |

**სტუმრად**

| თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| 21 | 6 | 9 | 6 | 24-25 | 21 |
| 21 | 4 | 1 | 16 | 20-56 | 9 |
| 21 | 2 | 5 | 14 | 11-40 | 9 |

● **ლანჩხუთის** „გურიამ" წლევანდელ საფეხბურთო სეზონში შინ ყველა ჩატარებული 21 მატჩი მოიგო. მოპოვებული 42 ქულა საუკეთესო შედეგია ლიგის არსებობის ისტორიაში.

● **„გურია"** (78 გოლი მოდის 10 ფეხბურთელზე): მ. ჟორდანია — 25 (11 პენალტით), გ. გურული — 18 (2), ბ. ფრიდონაშვილი — 10, ა. დოზმოროვი — 10, ო. კორღალიძე — 6, დ. უგრელიძე — 3, მ. თევზაძე — 2, მ. მესხი — 2, დ. ცომაია — 1, ლ. ბარათაშვილი — 1.

● **„ტორპედო"** — 69 (12). მ. მეგრელაძე — 29 (1), დ. შავდათუაშვილი — 10, მ. ფანცულაია — 5, გ. დვალიშვილი — 5, გ. დარასელია — 4 (3), რ. თორლაშვილი — 3 (1), დ. მახარაძე — 3, ზ. ბაკურაძე — 3, ი. გაბესკირია — 2 (1), ი. ბზიკაძე — 2, დ. პაიკიძე — 1, გ. თევზაძე — 1 (1). ერთი ბურთი მეტოქეებმა საკუთარ კარში გაიტანეს.

**„დინამო"** (ბ.) — 39 (13). მ. ბიგვავა — 8, გ. ჯოხაძე — 7 (7), ვ. ქვანია — 4, თ. კიკლიაშვილი — 4, მ. აფციაური — 3 (1), ა. ათუაშვილი — 2, მ. მახარაძე — 2, ტ. დურდიაძე — 2 (2), ვ. მიქაშავიძე — 2, ნ. კაკილაშვილი — 2, პ. მაჭუტაძე — 1, დ. მეშკოვი — 1, გ. ზედანია — 1.

● **სტუმრად** ჩატარებულ მატჩებში ქუთაისელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო მ. მეგრელაძე — 14 გოლი, „გურიაში" — მ. ჟორდანია — 8, ხოლო „დინამოში" მ. ბიგვავა — 3 გოლი.

მატჩებს საქართველოს გუნდების მონაწილეობით დაესწრო:

| | სულ | შინ | სტუმრად |
|---|---|---|---|
| „გურია" | 593.900 | 3609.800 | 225.10 |
| „დინამო" | 379.000 | 218.000 | 161.000 |
| „ტორპედო" | 356.640 | 198.000 | 158.640 |

● **ყველაზე** მეტი გამარჯვება 3 და მეტი ბურთის სხვაობით მოიპოვა „ტორპედომ" — ექვსი, „გურიამ" — ხუთი. ბათუმის „დინამოს" აქტივშია ერთი ასეთი გამარჯვება.

● **მ. მეგრელაძემ** წლევანდელ სეზონში კემეროვოს „კუზბასთან" და ალმა-ათის „კაირატთან" ჰეთ-თრიკის გაკეთება შეძლო. ასევე 3 ბურთი გაიტანა გ. გურულმაც კრასნოდარის „ყუბანის" კარში.

ორ-ორი ბურთი ხშირად გაჰქონდათ მ. მეგრელაძეს — 6-ჯერ, მ. ჟორდანიას — 5-ჯერ, გ. გურულს — 4-ჯერ.

● **ამჟამად** მოთამაშე ფეხბურთელებიდან ჩატარებული მატჩების რაოდენობით საუკეთესო შედეგი აქვს ბათუმელ ტ. დურდიაძეს — 248 მატჩი.

● **გატანილი** გოლებით საუკეთესონი არიან: მ. მეგრელაძე — 78 გოლი, ბ. ფრიდონაშვილი — 65, მ. ჟორდანია — 44, დ. უგრელიძე — 37, ო. კორღალიძე — 32, ვ. ქვანია — 20, გ. ზედანია — 20.

**პაატა ცაგარეიშვილი.**

## ოცდამეორე ფინალისტი

**გამოვლინდა** მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის კიდევ ერთი, 22-ე მონაწილე. აფრიკის ზონაში ეგვიპტელმა ფეხბურთელებმა ალჟირის ნაკრებთან სტუმრად ფრედ დაამთავრეს პირველი შეხვედრა — 0:0. 17 ნოემბერს მათ კაიროში მიიღეს მეტოქე, გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 (გოლი მე-4 წუთზე გაიტანა ჰასანმა) და აფრიკის ზონიდან მოიპოვეს ფინალური საგზური.

## ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ განვლილ პარასკევს თავის სხდომაზე ციურიხში გადაწყვიტა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების ზონაში სალვადორისა და გვატემალის გუნდებს შორის არ ჩაატაროს სალვადორში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო. ორივე ეს მატჩი უნდა გამართულიყო 19 და 21 ნოემბერს გვატემალაში, ვინაიდან სალვადორის საფეხბურთო მინდორი დისკვალიფიცირებულია.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა გ. ტონიონიმ განაცხადა, რომ ეს არის წინასწარი გადაწყვეტილება, საბოლოო დადგენილებას ფეხბურთის უმაღლესი ორგანო გამოიტანს უახლოეს ხანში.

ამავე ჯგუფში დღეს გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე საგზურისთვის ტრინიდადისა და ტობაგოს და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის. პირველი ფინალისტი ჯგუფში გამოვლინდა, ესაა კოსტა-რიკის ნაკრები, ტრინიდადისა და ტობაგოს და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს 9-9 ქულა აქვთ.

## სსრ კავშირის თასი

**17 ნოემბერს** მოსკოვში შედგა 1990 წლის საკავშირო თასის მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა" და ვილნიუსის „ჟალგირისს" შორის. თამაში მოიგეს ლოკომოტიველებმა — 3:0.

ამ გუნდების პირველ შეხვედრაში აღინიშნა ფრე — 1:1. ორი მატჩის ჯამში გაიმარჯვა მოსკოვის „ლოკომოტივმა" (4:1), რომელიც მეოთხედფინალში გავიდა.

## საქართველოს პირველობა

## გათამაშების ცხრილები

**II ჯგუფი**

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

**მდგომარეობა 18 ნოემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი" | 28 | 24 | 3 | 1 | 104-32 | 51 |
| „კახეთი" | 28 | 22 | 5 | 1 | 77-26 | 49 |
| „ჰერეთი" | 29 | 22 | 2 | 5 | 57-24 | 46 |
| სსი (მუხრ.) | 29 | 21 | 2 | 6 | 89-37 | 44 |
| „გარისი" | 28 | 16 | 8 | 4 | 48-26 | 40 |
| „შირაქი" | 29 | 13 | 2 | 14 | 56-50 | 28 |
| „მეტალის." | 28 | 10 | 8 | 10 | 71-73 | 28 |
| „კოლმეურ." | 29 | 10 | 6 | 13 | 64-84 | 26 |
| „თრიალეთი" | 29 | 11 | 3 | 15 | 46-49 | 25 |
| „სამგორი" | 29 | 8 | 6 | 15 | 49-69 | 22 |
| „ალგეთი" | 29 | 6 | 8 | 15 | 47-76 | 20 |
| „ქიზიყი" | 29 | 7 | 5 | 17 | 31-71 | 19 |
| თსუ | 25 | 6 | 5 | 14 | 35-52 | 17 |
| „მიონი" | 29 | 6 | 3 | 20 | 47-75 | 15 |
| „სინათლე" | 28 | 6 | 1 | 21 | 45-75 | 13 |
| „გარეჯი" | 28 | 4 | 3 | 21 | 38-85 | 11 |

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქართლი" | 28 | 21 | 4 | 3 | 86-26 | 46 |
| „ჩიხურა" | 28 | 20 | 3 | 5 | 71-38 | 43 |
| „მესხეთი" | 28 | 19 | 4 | 5 | 83-43 | 42 |
| „თორი" | 28 | 16 | 7 | 5 | 67-41 | 39 |
| „საირმე" | 28 | 18 | 2 | 8 | 61-38 | 38 |
| „ჩხერიმელა" | 29 | 14 | 5 | 10 | 49-45 | 33 |
| „მეშახტე" | 29 | 14 | 4 | 11 | 59-43 | 32 |
| „ვარძია" | 28 | 12 | 7 | 9 | 51-44 | 31 |
| „მამისონი" | 29 | 12 | 7 | 10 | 64-57 | 31 |
| „აბული" | 28 | 13 | 1 | 14 | 70-71 | 27 |
| „იბერია" | 28 | 9 | 4 | 15 | 39-58 | 22 |
| „განთიადი" | 29 | 8 | 5 | 16 | 51-83 | 21 |
| „ზარზმა" | 28 | 6 | 8 | 14 | 53-68 | 20 |
| „ლიახვი" | 30 | 4 | 2 | 24 | 22-53 | 10 |
| „ფარვანა" | 28 | 4 | 2 | 22 | 25-88 | 10 |
| „რაჭა" | 28 | 2 | 3 | 23 | 27-82 | 7 |

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნარინჯი" | 33 | 23 | 6 | 4 | 77-40 | 52 |
| „იმერეთი" | 33 | 22 | 8 | 3 | 76-32 | 52 |
| „მეშახტე" | 33 | 23 | 4 | 6 | 76-33 | 50 |
| „ეგრისი" | 33 | 16 | 5 | 12 | 56-46 | 37 |
| „სუბტროპ." | 33 | 17 | 2 | 14 | 62-55 | 36 |
| პოლ. ინსტ. (ქუთაისი) | 33 | 15 | 6 | 12 | 57-45 | 36 |
| „ჩიბათი" | 31 | 14 | 5 | 12 | 59-63 | 33 |
| „სალხინო" | 32 | 13 | 5 | 14 | 55-48 | 31 |
| „ბახმარო" | 33 | 13 | 5 | 15 | 58-75 | 31 |
| „დარჩელი" | 33 | 12 | 7 | 14 | 59-58 | 31 |
| „ფაზისი" | 32 | 12 | 5 | 15 | 50-61 | 29 |
| „ოდიში" | 32 | 12 | 4 | 16 | 57-63 | 28 |
| „მენავთობე" | 32 | 12 | 4 | 16 | 62-68 | 28 |
| „ბეთლემი" | 32 | 10 | 7 | 15 | 52-56 | 27 |
| „ზანა" | 32 | 8 | 8 | 16 | 39-58 | 24 |
| „მშენებელი" | 34 | 9 | 5 | 20 | 53-81 | 23 |
| „ხვამლი" | 33 | 2 | 8 | 23 | 40-108 | 12 |

## ინგლისი — იტალია

**განვლილ** ოთხშაბათს ლონდონში ინგლისისა და იტალიის ეროვნული გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**გაიმართა** უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

**იტალია**

**მე-11 ტური.** „ნაპოლი" — „ლეჩე" 3:2, „მილანი" — „იუვენტუსი" 3:2, „ლაციო" — „ატლანტა" 1:2, „კრემონეზე" — „უდინეზე" 2:2, „ვერონა" — „ინტერი" 0:3, „ბარი" — „ჯენოვა" 0:0, „ჩეზენა" — „ასკოლი" 1:0, „სამპდორია" — „რომა" 4:2, „ფიორენტინა" — „ბოლონია" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი" | 11 | 18-8 | 18 |
| „ინტერი" | 11 | 19-10 | 16 |
| „იუვენტუსი" | 11 | 20-13 | 14 |

**ინგლისი**

**მე-12 ტური.** „არსენალი" — „ნორვიჩი" 4:3, „ასტონ ვილა" — „ევერტონი" 6:2, „ჩარლტონი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 2:0, „მანჩესტერ სიტი" — „კრისტალ პალასი" 3:0, „უიმბლდონი" — „ქუინს პარკი" 0:0, „საუთჰემპტონი" — „ტოტენჰემი" 1:1, „ნოტინგემი" — „შეფილდი" 0:1, „ლუთონი" — „დერბი" 1:0, „ლივერპული" — „ქოვენთრი" 0:1, „ჩელსი" — „მილუოლი" 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩელსი" | 12 | 19-10 | 22 |
| „ლივერპული" | 11 | 23-9 | 21 |
| „არსენალი" | 12 | 21-14 | 21 |

**გფრ**

**მე-16 ტური.** „ჰამბურგი" — „კიოლნი" 0:2, „ლევერკუზენი" — „სენტ პაული" 1:1, „ბაიერნი" — „ვერდერი" 1:1, „კაიზერსლაუტერნი" — „დორტმუნდი" 2:2, „იურდინგენი" — „ნიურნბერგი" 3:3, „შტუტგარტი" — „მიონჰენგლადბახი" 4:0, „ბოხუმი" — „ჰომბურგი" 1:0, „ფრანქფურტი" — „კარლსრუე" 1:1, „დიუსელდორფი" — „მანჰეიმი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „კიოლნი" | 16 | 26-17 | 23 |
| „ბაიერნი" | 16 | 32-14 | 22 |
| „ლევერკუზენი" | 16 | 23-12 | 22 |

**ჰოლანდია**

**მე-13 ტური.** „ეინდჰოვენი" — „ვოლენდამი" 2:2, „აიაქსი" — „გრონინგენი" 3:2, „ნიემიგენი" — „დენ ბოში" 2:2, „როდა" — „ტილბურგი" 4:1, „ვალვიკი" — „არნჰეიმი" 0:1, „ტვენტე" — „სიტარიდი" 1:1, „სპარტა" — „ფეიენოორდი" 2:2, „დენ ჰააგი" — „ჰარლემი" 6:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „როდა" | 13 | 22-13 | 18 |
| „ეინდჰოვენი" | 13 | 41-15 | 17 |
| „არნჰეიმი" | 13 | 21-18 | 16 |

**ბელგია**

**მე-11 ტური.** „მეჰელენი" — „ანდერლეჰტი" 0:0, „გენტი" — „ლოკერენი" 0:0, „ეკერენი" — „რესინგი" 2:0, „ბრიუგე" — „ანტვერპენი" 0:2, „ლიერსი" — „ვარეგემი" 2:0, „ბევერენი" — „ლიეჟი" 2:1, „სტანდარდი" — „სენტ ტრუდენი" 2:1, „კორტრიკი" — „სერკლი" 0:3, „შარლერუა" — „ბეერსკოტი" 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეჰტი" | 11 | 27-3 | 19 |
| „მეჰელენი" | 11 | 20-4 | 17 |
| „ანტვერპენი" | 11 | 22-9 | 16 |

**დანია**

**26-ე ტური.** „ბრონშიო" — „ჰერფოლგე" 1:1, „ნესტვედი" — „ბრონდბიუ" 1:4, „ოდენსე 1913" — „სილკებორგი" 0:0, „ლუნგბიუ" — „ვეილე" 2:1, „ფრამი" — „ბკ ოდენსე" 1:2, „ორჰუსი" — „ოლბორგი" 1:0, „იკასტი" — „1903 კოპენჰაგენი" 2:2.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბკ ოდენსე" | 26 | 46-18 | 41 |
| „ბკ ლუნგბიუ" | 26 | 51-25 | 38 |
| „ბრონდბიუ" | 26 | 49-28 | 36 |

**საფრანგეთი**

**მე-17 ტური.** „მულუზი" — „მარსელი" 1:2, „სენ-ჟერმენი" — „ოსერი" 1:1, „ბორდო" — „ნანტი" 3:0, „კანი" — „ტულუზა" 2:2, „მონაკო" — „ნიცა" 1:0, „ბრესტი" — „მეცი" 2:0, „ლილი" — „სოშო" 5:0, „კაენი" — „მონპელიე" 3:2, „ტულონი" — „ლიონი" 1:1, „სენტ ეტიენი" — „რესინგი" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო" | 17 | 26-6 | 26 |
| „მარსელი" | 16 | 30-15 | 23 |
| „სოშო" | 17 | 27-19 | 22 |

**ესპანეთი**

**მე-10 ტური.** „სან სებასტიანი" — „რეალი" 2:1, „ვიგო" — „ბარსელონა" 1:2, „ლოგრონიესი" — „მაიორკა" 0:1, „ატლეტიკო" — „კასტელონი" 4:1, „ხიხონი" — „ოვიედო" 0:0, „ვალენსია" — „ოსასუნა" 3:1, „კადისი" — „ვალიადოლიდი" 1:0, „მალაგა" — „სარაგოსა" 0:3, „სევილია" — „ბილბაო" 3:2, „ტენერიფე" — „ვალეხანო" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" | 10 | 25-11 | 14 |
| „ბარსელონა" | 10 | 23-10 | 13 |
| „ოვიედო" | 10 | 17-7 | 13 |

**არგენტინა**

**მე-13 ტური.** „ველეჟ სარსფილდი" — „როსარიო სენტრალი" 2:3, „ნეველს ოლდ ბოისი" — „სან ლორენსო" 2:0, „უნიონი" — „ტალერესი" 2:2, „ესტუდიანტესი" — „გიმნასია" 0:0, „ფეროკარილ ოესტე" — „რესინგ კორდობა" 1:0, „ინსტიტუტო" — „არგენტინოს ხუნიორსი" 2:0, „ბოკა ხუნიორსი" — „პლატენსე" 0:1, „დეპორტივო მანდიუ" — „რესინგი „ბუენოს-აირესი" 4:3, „ინდეპენდიენტე" — „ჩაკო ფორ ევერ" 7:1, „დეპორტივო ესპანიოლ" — „რივერ პლეიტი" 1:3.

| | | |
|---|---|---|
| „რივერ პლეიტი" | 13 | 19 |
| „ინდეპენდიენტე" | 13 | 18 |
| „როსარიო სენტრალი" | 13 | 16 |

**ბრაზილია**

**პირველი ჯგუფი**

**II ეტაპი (16 გუნდი).** „პორტუგეზა" — „ფლამენგო" 2:0, „გრემიო" — „ინტერი" (სან-პაულუ) 1:2, „ვასკო და გამა" — „სან პაულუ" 0:0, „ნაუტიკო" — „ფლუმინენსე" 3:2, „კორინტიანსი" — „სანტოსი" 0:0, „ატლეტიკო მინეირო" — „გოიასი" 3:0.

**I ჯგუფი**

| | |
|---|---|
| „კორინტიანსი" | 15 ქ. |
| „ატლეტიკო მინეირო" | 13 |
| „ნაუტიკო" | 12 |

**II ჯგუფი**

| | |
|---|---|
| „ვასკო და გამა" | 15 |
| „პალმეირასი" | 14 |
| „პორტუგეზა" | 13 |

**პოლონეთი**

**მე-13 ტური.** „გკს" — „გურნიკი" 1:0, „სტალი" — „ვიძევი" 4:1, „ლეხი" — „ლუბლინი" 4:0, „სლასკი" — „ლუბინი" 0:2, „ბიდგოშჩი" — „სოსნოვეცი" 4:0, „ვისლა" — „რუხი" 3:0, „ბიალისტოკი" — „ლეგია" 0:0, „კს ლოძი" — „ოლიმპია" 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გკს კატოვიცე" | 13 | 18-6 | 21 |
| „ლუბინი" | 13 | 18-9 | 20 |
| „ლეგია" | 13 | 17-8 | 20 |

**შვეიცარია**

**მე-17 ტური.** „ბელინცონა" — „სერვეტი" 2:5, „გრასჰოპერსი" — „იანგ ბოისი" 3:1, „ლოზანა" — „სიონი" 4:1, „ქსამაქსი" — „არაუ" 2:1, „სენტ გალენი" — „ლუგანო" 3:1, „ვეტინგენი" — „ლუცერნი" 3:1, „ლუცერნი" — „ქსამაქსი" 1:0 (გამოტოვებული მატჩი).

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენტ გალენი" | 17 | 33-21 | 22 |
| „ქსამაქსი" | 17 | 33-26 | 22 |
| „სიონი" | 17 | 26-22 | 21 |

**საბერძნეთი**

**მე-7 ტური.** „ლევადია" — „იონიკოსი" 4:1, „ლარისა" — „ეთნიკოსი" 2:0, „ვოლოსი" — „სერესი" 1:0, „ირაკლისი" — „პაოკი" 0:0, „ქსანტი" — „ოფი კრეტა" 0:2, „არისი" — „კალამარია" 1:1, „პანათინაიკოსი" — „დოქსა" 1:0, „ოლიმპიაკოსი" — „აპოლონი" 1:0, „აეკი" — „პანიონისი" 7:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოფი კრეტა" | 7 | 15-5 | 11 |
| „აეკი" | 7 | 16-5 | 10 |
| „პანათინაიკოსი" | 7 | 11-7 | 10 |

**ავსტრია**

**მე-18 ტური.** „ვინერ სკ" — „ტიროლი" 1:0, „ადმირა" — „გრაცერი" 5:0, „სენტ პოლტენი" — „ვიენა" 2:1, „რაპიდი" — „აუსტრია" 5:2, „შტურმი" — „კრემსერი" 0:0, „შტეირი" — „ზალცბურგი" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აუსტრია" | 18 | 44-22 | 27 |
| „ტიროლი" | 18 | 38-19 | 27 |
| „ადმირა" | 18 | 44-30 | 23 |

**ჩეხოსლოვაკია**

**მე-11 ტური.** „ბანიკი" — „სლავია" 0:0, „პლასტიკა" — „ბანსკა ბისტრიცა" 5:1, „სპარტაკი" — „სპარტა" 0:1, „დუკლა" — „დუნაისკა სტრედა" 5:0, „ზბროიოვკა" — „რუდა ჰვეზდა" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა" | 9 | 16-8 | 15 |
| „ბანიკი" | 10 | 14-10 | 14 |
| „პლასტიკა" | 11 | 21-15 | 13 |

**რუმინეთი**

**მე-11 ტური.** „პეტროშანი" — „პლეშტი" 4:0, „ბაკაუ" — „სტიაუა" 0:1, „ვიქტორია" — „სიბიუ" 5:0, „ჰუნედოარა" — „ტიმოშოარა" 3:1, „კრაიოვა" — „დინამო" 1:0. „ბრაშოვი" — „პიტეშტი" 1:0, „ოლტი" — „კონსტანცა" 1:1, „ორადეა" — „მორენი" 2:0, „სპორტული" — „კლუჟი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" | 11 | 37-4 | 20 |
| „სტიაუა" | 11 | 25-4 | 19 |
| „კრაიოვა" | 10 | 16-6 | 15 |

**ბულგარეთი**

**მე-12 ტური.** „რუსე" — „თრაკია" 1:0, „ლოკომოტივი" (სოფია) — „ეტირი" 4:2, „ვარნა" — „პასარჯიკი" 0:1, „პირინი" — „სლავია" 0:0, „ორეხოვიცა" — „ბოტევი" 2:0, „ვიტოშა" — „ბეროე" 2:1, „ლოკომოტივი" (პლოვდივი) — „სრედეცი" 2:2, „ბურგასი" — „სლოვენი" 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სრედეცი" | 12 | 35-7 | 20 |
| „ბურგასი" | 12 | 20-13 | 15 |
| „სლავია" | 12 | 15-11 | 15 |

**შოტლანდია**

**მე-12 ტური.** „დანდი" — „აბერდინი" 1:1, „დანფერმლაინი" — „დანდი იუნაიტედი" 1:1, „ჰიბერნიანი" — „ჰართსი" 1:1, „რეინჯერსი" — „სელტიკი" 1:0, „სენტ მირენი" — „მოზერეული" 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 12 | 14-9 | 15 |
| „აბერდინი" | 12 | 13-9 | 15 |
| „დანფერმლაინი" | 12 | 20-14 | 14 |

(საქ. ინფ.).

# პალესტინელები მიმართავენ სოკ-ს

**პალესტინელთა** ლიდერმა იასირ არაფატმა თხოვნა გაუგზავნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს ყურად იღოს მისი ხალხის სურვილი და დახმარება აღმოუჩინოს მას.

— დარწმუნებული ვართ დაინტერესდებით პალესტინელი ახალგაზრდების სამართლიანი მოთხოვნით, რომ მათი ქვეყანაც იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი. პალესტინელი ხალხი იბრძვის იმისთვის, რომ შეუერთდეს მთელს მსოფლიოს სპორტის დარგშიც.

პალესტინის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ომარ ჰუსეინ ალიმ რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მისმა კომიტეტმა ამ თხოვნით სოკ-ს ჯერ კიდევ 1979 წელს მიმართა, წლეულს აგვისტოში კი გაიმეორა იგი. განაცხადის მიღების შემდეგ სოკ-ი რამდენიმეჯერ შეიკრიბა, მაგრამ ეს საკითხი არ განუხილავს.

ახალგაზრდობისა და სპორტის ორგანიზაცია პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ნაწილია. დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადების შემდეგ (შარშანდელი ნოემბერი) პალესტინელები იბრძვიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში შესასვლელად, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ამ გაზაფხულზე წარუმატებლად დამთავრდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო და ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციებში შესვლის ცდები.



## „მერანი“ №24

**გამოვიდა** გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ 24-ე ნომერი.

რედაქციაში მრავლად მოდის შეკითხვები ახალშექმნილი დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციის შესახებ. ბევრს აინტერესებს, თუ სად არის მისი შტაბ-ბინა, ვინ ხელმძღვანელობს ამ ასოციაციას და, რაც მთავარია, ვინ გაერთიანდა მასში. პირველ-მეორე გვერდებზე გამოქვეყნებულია ასოციაციის წევრთა ამჟამად მოქმედი დიდოსტატების სია.

მესამე გვერდი დათმობილი აქვს ახალგაზრდა ისრაელელი ოსტატის იონა ქოსაშვილის დიდოსტატ ედუარდ გუფელდთან ნათამაშევ პარტიას.

უაღრესად საინტერესო პუბლიკაცია მოაწოდა რედაქციას ჟურნალისტმა გიგლა გობეჩიამ. წერილში სათაურით: „...როგორც ილაჯგაწყვეტილი ირემლაღის თვალები, ანუ ჭადრაკი და სტრესი“ უხვადაა ჭადრაკის ისტორიის მიერ შემონახული თვალსაჩინო უნიკალური მაგალითები.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი რუბრიკას „თქვენი სვლაა, მკითხველო!“, სადაც კონკურსის მონაწილეებს რედაქცია თავაზობს მეათე დავალების პირობებს. ამავე დროს, აქვე მოთხრობილია მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონის ალექსანდრ ალიოხინის სიცოცხლის ბოლო წლებისა და მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონ მიხაილ ბოტვინიკის აღზევების ზოგიერთ მომენტზე.

ერევანმა პირველად უმასპინძლა გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკის, მსოფლიოს ექსჩემპიონ ტიგრან პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო ტურნირს. ინფორმაციას აღნიშნული ტურნირის შესახებ გვაწვდის თვით შეჯიბრების მონაწილე და პრიზიორი, საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი. დამატება აქვე გთავაზობთ მის მიერვე ნათამაშევ ერთ-ერთ პარტიას.

„მერანის“ ამ ნომერში მკითხველი სხვა საინტერესო მასალებსაც გაეცნობა.

# „წვიმის მეფე“ დამარცხდა

**ადელაიდას** ქუჩებში გაიმართა მსოფლიოს მე-40 ჩემპიონატის ბოლო, მე-16 ეტაპი „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში, გათამაშდა ავსტრალიის „გრან პრი“.

ტრასის სიგრძე 3,78 კმ-ია. მრბოლებმა აქ 82 წრე უნდა გაიარონ, ე. ი. დაფარონ 309,96 კმ სიგრძის დისტანცია. რეკორდი ეკუთვნის ალენ პროსტს (1 წუთი და 21,216 წამი, საშუალო სიჩქარე — 167,553 კმ სთ).

როგორც უკვე იცით, აირტონ სენა დისკვალიფიცირებულია 6 თვით, მაგრამ ეს სასჯელი არ შეეხო ავსტრალიის ეტაპს. პროსტის და სენას საბოლოო ორთაბრძოლამ კვლავ მრავალი მაყურებელი მიიზიდა. ფრანგმა პილოტმა პირველი საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო, ბრაზილიელმა — მეორე და დაიბრუნა სტარტზე პირველი ადგილი. აირტონ სენამ წელს 16-დან 14 საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო.

„მაკლარენის“ ორივე პილოტის ამოცანა იყო დაემტკიცებინათ, რომ უძლიერესნი არიან, მაგრამ ასპარეზობას ხელი შეუშალა ტროპიკულმა წვიმამ. რბოლა შეუძლებელი შეიქნა და ალენ პროსტმა უარი თქვა ასპარეზობაზე. მან სხვა პილოტებსაც მოუწოდა ბოიკოტისკენ, მაგრამ მხარდაჭერა ვერ მიიღო და ასპარეზობა განახლდა. დაწინაურდა სენა, მაგრამ ცოტა ხნით. მარტინ ბრანდლთან შეჯახების შედეგად იგი რბოლას გამოეთიშა. ავარიაში მოხვდა თითქმის ყველა პილოტი, მათ შორის მენსელიც, რის შედეგადაც რიკარდო პატრეზეს გზა გაეხსნა ჩემპიონატში მესამე ადგილისკენ. 25 ავტომრბოლიდან ფინიშთან მხოლოდ რვა მივიდა. საბოლოოდ „გამძლეობაზე რბოლაში“ იმარჯვა ტიერი ბუტსანმა. ეს ბელგიელი ავტომრბოლის მეორე „გრან პრია“ წლევანდელ სეზონში.

ეტაპის საბოლოო შედეგი:

1. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „უილიამს-რენო“) — 9; 2. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) — 6; 3. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო“) — 4; 4. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ლოტუს-ჯადი“) — 3; 5. ემანუელე პირო (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) — 2; 6. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი-ფორდი“) — 1 ქულა.

პირადი ჩათვლა (საბოლოო შედეგი):

1. ალენ პროსტი — 76 (81); 2. აირტონ სენა — 60; 3. რიკარდო პატრეზე — 40; 4. ნაიჯელ მენსელი — 38; 5. ტიერი ბუტსანი — 37; 6. ალესანდრო ნანინი — 32; 7. გერჰარდ ბერგერი — 21; 8. ნელსონ პიკე — 12; 9. ჟან ალესი — 8; 10. დერეკ უორვიკი — 7; 11-13. მიქელე ალბორეტო, ედი ჩივერი, სტეფან იოჰანსონი — 6-6; 14-15. ჯონი ჰერბერტი, პიერლუიჯი მარტინი — 5-5; 16-20. მაურიზიო გუჟელმინი, სტეფანო მოდენა, ანდრეა დე ჩეზარისი, ალექსი კაფი, მარტინ ბრანდლი — 4-4; 21-22. კრისტიან დანერი, სატორუ ნაკაჯიმა — 3-3; 23-25. რენე არნუ, ჯონათან პალმერი, ემანუელე პირო — 2-2; 26-29. გაბრიელე ტარკვინი, ოლივიე გრუიარი, ლუის პერეს-სალა, ფილიპ ალიე — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენ-ჰონდა“ — 141; 2. „უილიამს-რენო“ — 77; 3. „ფერარი“ — 59; 4. „ბენეტონ-ფორდი“ — 39; 5. „ტაირელ-ფორდი“ — 16; 6. „ლოტუს-ჯადი“ — 15; 7. „ეროუზ-ფორდი“ — 13; 8-9. „დალარა-ფორდი“, „ბრებემ-ჯადი“ — 8-8; 10-11. „ონიქს-ფორდი“, „მინარდი-ფორდი“ — 6-6; 12. „ლეიტონ ჰაუს-ჯადი („მარჩი“) — 4; 13-14. „რიალ-ფორდი“, „ლიჟიე-ფორდი“ — 3-3; 15-16. „ა-ჟე-ეს-ფორდი“, „ლოლა-ლამბორგინი“ — თითო ქულა.

დასრულდა ყველაზე საინტერესო, დაძაბული და სკანდალური ჩემპიონატი მრავალი ავტოკატასტროფით და სამართლიანი თუ უსამართლო დისკვალიფიკაციით.

ბრაზილიელ გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში კვლავ აირტონ სენა იყო, რადგან მათი მეორე თანამემამულე — ნელსონ პიკე სუსტი ავტომობილით გამოდიოდა. მთელი ევროპა კი თვალყურს ადევნებდა პატარა, შეუპოვარი ფრანგის — ალენ პროსტის თავგანწირულ ბრძოლას პირველობისთვის. ამ „დიდი პაექრობის“ დასასრული ყველამ კარგად იცით. მაგრამ ჯერ კიდევ არაა ცნობილი, როგორ დამთავრდება სასამართლო პროცესი „მაკლარენი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის წინააღმდეგ“. მიუხედავად ამისა, „მაკლარენი“ კვლავ გამარჯვებული გამოვიდა კონსტრუქტორთა შორის. აირტონ სენამ ორ წელიწადში 28 საკვალიფიკაციო და 14 ძირითადი ეტაპი მოიგო. ბრაზილიელ პილოტთან შედარებით ალენ პროსტს უფრო ძლიერი მაჩვენებლები აქვს. „მაკლარენთან“ გატარებული 6 ტრიუმფალური წლის მანძილზე ფრანგმა პილოტმა მოიგო 30 „გრან პრი“, დაამყარა 32 ტრასის რეკორდი და 20-ჯერ პირველი იყო სტარტზე.



ალენ პროსტი

ორივე მაღალი კლასის სპორტსმენია, მაგრამ წელს მათი პატიოსანი სპორტული პაექრობა დაჩრდილა პირადმა შუღლმა, რომელიც დაიწყო მონაკოს ეტაპის შემდეგ, როცა აირტონ სენამ დაარღვია „ფორმულა I“ კლასის დაუწერელი კანონი. მან არ შეასრულა თანაგუნდელის თხოვნა და სახიფათო მანევრით ჩამოიტოვა ალენ პროსტი სწორედ იმ მოსახვევთან, სადაც მრავალი ტრაგიკული შემთხვევა მომხდარა. მათ მეგობრობას წერტილი დაესვა. შექმნილი უთანხმოების გამო ალენ პროსტმა სხვა გუნდში გადასვლა გადაწყვიტა. როგორც იცით, მან „ფერარისთან“ გააფორმა კონტრაქტი.

წელს გამოცოცხლება დაეტყო „ფერარისა“ და „უილიამსს“. ნაიჯელ მენსელმა ორი „გრან პრი“ (ბრაზილია, უნგრეთი) მოიგო, გერჰარდ ბერგერმა ერთი (პორტუგალია). ინგლისელი პილოტი ორორჯერ მეორე და მესამე იყო ფინიშთან, დაამყარა ტრასის ორი რეკორდი და ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა. ავსტრიელ სპორტსმენს კატასტროფამ შეუშალა ხელი მაღალი საპრიზო ადგილის დაკავებაში.

ტიერი ბუტსანმა ორი „გრან პრი“ (კანადა, ავსტრალია) მოიგო, სამჯერ მესამე იყო და ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა. „წვიმის მეფეს“ — აირტონ სენას კონკურენტი გაუჩნდა ბელგიელი პილოტის სახით. ბუტსანის თანაგუნდელმა, რიკარდო პატრეზემ, რომელმაც 192 ეტაპში მიიღო მონაწილეობა, 4-ჯერ მეორე ადგილი დაიკავა და ერთხელ მესამე. მოიგო ერთი საკვალიფიკაციო რბოლა (უნგრეთი) და დაამყარა ტრასის რეკორდი (ბრაზილია). იტალიელი პილოტი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ხოლო „უილიამს-რენომ“ ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

წლევანდელ ჩემპიონატში თავისებური რეკორდი დამყარდა — სულ, დაახლოებით 50-მა სპორტსმენმა იასპარეზა. ბევრი იყო დებიუტანტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 25 წლის ფრანგი პილოტი ჟან ალესი, რომელმაც მიქელე ალბორეტო შეცვალა „ტაირელში“ და, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ აღნიშნა თავისი დებიუტი ჩემპიონატში. პირად ჩათვლაში მან მეცხრე ადგილი დაიკავა და სამართლიანად დაიმსახურა კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი ამ ფირმასთან. გარდა ამისა, ჟან ალესმა შესანიშნავად იასპარეზა „ფორმულა 3000“ კლასში და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ჩემპიონატი დასრულებული არ იყო, როცა გაფორმდა რამდენიმე კონტრაქტი. „ფერარის“ წყვილი უკვე კარგადაა ცნობილი. „ტაირელით“ იასპარეზებენ ჟან ალესი და სატორუ ნაკაჯიმა. „უილიამსის“ დუეტი უცვლელი რჩება. „ლოტუსით“ გამოვა დერეკ უორვიკი და ახალგაზრდა ირლანდიელი პილოტი მარტინ დონელი, რომელიც ჟან ალესის თანაგუნდელი იყო „ფორმულა 3000“ კლასში, „ბენეტონით“ — ნელსონ პიკე და ალესანდრო ნანინი, „მაკლარენით“ აირტონ სენა და გერჰარდ ბერგერი, თუმცა ბრაზილიელი პილოტის ადგილი დროებით შეიძლება დაიკავოს ემანუელე პირომ, რომელიც წელს „მაკლარენმა“ „ბენეტონს“ „ათხოვა“ ტრავმირებული ჯონი ჰერბერტის შესაცვლელად. ერიკ ბერნარი და აგური სუძუკი იასპარეზებენ „ლოლა ლარუსით“.

პირველობის მოპოვების შანსი, სპეციალისტთა აზრით, კვლავ ექნება ალენ პროსტს, ნაიჯელ მენსელს, გერჰარდ ბერგერს და, შეიძლება, ნელსონ პიკესაც. მაგრამ, მოდით, დაველოდოთ მარტს, როდესაც სტარტს აიღებს მსოფლიოს 41-ე, 1990 წლის ჩემპიონატი „ფორმულა I“ კლასის ავტომობილებით რბოლაში.

**დავით ჩუბინიძე.**

# სასჯელის ზომა

**ბაინად,** 1 ივლისიდან შვეციაში კანონმდებლობის წესით იქნება აკრძალული დოპინგის შეძენა, შენახვა და გავრცელება. ეს პირველ ყოვლისა ეხება ანაბოლიურ სტეროიდებს, ტესტოსტერონსა და ზრდის ჰორმონებს. მათი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებით.

ეს წინადადებები წამოყენებულია სპეციალურ მემორანდუმში, რომელიც მთავრობას განსახილველად წარუდგინა სამართლის საკითხებში მრჩეველმა სუსანა ბილუმ სტეგარდმა. მომავალი კანონის დარღვევისათვის, მის მიღებაში კი ეჭვი არავის ეპარება, გათვალისწინებულია დიდი ფულადი ჯარიმა და თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე.**

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ კათედრებზე:

1. ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრაზე: უფროსი მასწავლების I ერთეულზე — ფსიქოლოგიის სპეციალობით.
2. ბიომექანიკის კათედრაზე: პროფესორის 1 ერთეული. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
3. ტანვარჯიშის კათედრაზე: უფროსი მასწავლებლის 1 ერთეული — აკრობატიკის სპეციალობით.
4. ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის კათედრაზე:—უფროსი მასწავლებლის 1 ერთეული — ფეხბურთის სპეციალობით; — მასწავლებლის 1 ერთეული — ჩოგბურთის სპეციალობით; მასწავლებლის 1 ერთეული — ხელბურთის სპეციალობით;
5. მძლეოსნობის კათედრაზე: უფროსი მასწავლებლის 1 ერთეული — მძლეოსნობის სპეციალობით.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა, ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში, ტელეფონი: 23-09-02, მისამართი: თბილისი ი. ჭავჭავაძის პრ. №49.

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორთა მომზადების ფასიან კურსებზე მესამე ნაკადში აგრძელებს მსმენელთა ჩარიცხვას შემდეგ სახეობებში:

25 ნოემბრიდან სპორტული მასაჟის სპეციალობით.

5 იანვრიდან „უ-შუს“ სპეციალობითა და ნებისმიერ სპორტის სახეობაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ფაკულტეტის დეკანატში მისამართით: ჭავჭავაძის პროსპექტი, 49-ა. ტელ. 23-32-69.

**ფაკულტეტის დეკანატი.**

**თბილისის** სპორტის სასახლეში 1 დეკემბრიდან მუშაობას იწყებს რიტმული ტანვარჯიშის ჯგუფები (აერობიკა).

ცნობებისთვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელ: 36-04-93; 36-20-03, 36-20-54.

თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი თანაუგრძნობს ოლიმპიურ ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გელა კეტაშვილს მამის

**გიორგი ირაკლის ძე**
**კეტაშვილის**

გარდაცვალების გამო.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 46-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.651.564 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (16), მოგება 2.485 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (483) — 164 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (5.325) — 52 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 26844 ვარიანტი. 13—1 (სოხუმი), 12—17, 11 — 242.

46-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 2 დეკემბრიდან 1990 წლის 2 იანვრის ჩათვლით.

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 46-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.159.203 ვარიანტი. ექვსი ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (23) მოგება 1.904 მანეთია, ოთხისთვის (1.430) — 36, სამისთვის (26.199) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 31.891 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—31, 3—663.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 11.626.940 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (77) მოგება 4.609 მანეთია, ოთხისთვის (6.715) — 83, სამისთვის (166.350) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 326.639 ვარიანტი. 5—0, 4—212, 3—4651.

46-ე და 37-46 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 2 დეკემბრიდან 1990 წლის 2 იანვრის ჩათვლით.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 581